27 IUNIE

RUGACIUNEA 1

SF.CUVIOS

GHEORGHE 3 DE LA IVIRON-ATHOS

საველდრეგელი ლოცვა

ჶ, ნათელ-ცისკროვნო ვარსკულავო უდაბნოჲსაო და დიდო იღუმენო ივერთა საღმრთოჲსა მონასტრისაო; თანამზრახუალო და მოდასეო ანგელოზთაო და განმანათლებელო ქართველთაო, მეფეთა სიმტკიცეო, მთავართა დიდებაო, უძლურთა ძლიერებაო, ობოლთა ნუგეშინისმცემელო, მრავალთა სასწაულთა მოქმედო და ყოველთა უღონოთა, განწირულთა და მჴურვალედ შენდამი მვედრებელთა მართლმადიდებელთა ღმრთისა მიმართ ურცხვენელო შუამდგომელო. ღირსო მამაო ჩუენო გიორგი მთაწმიდელო!

ჶ, მწყემსო ჭეშმარიტო ქრისტჱს სამწყსოთაო და დიდო წინამძღუარო მოძღუართაო, ივერთა ეკლესიისა მნათობო და მონაზონთა ღმრთივსულიერო შუენიერებაო, ჴელმწიფეთა თუალუხვავად მამხილებელო და კუერთხითა სწავლისაჲთა განმსწავლელო, მამაო ყოვლად საკჳრველო, ღირსო

გიორგი მთაწმიდელო! რომელი ყოვლისავე ქართველთა ნათესავისა მიერ შერაცხილ ხარ თანა-შემწედ მართლმადიდებელთა, მამობრივითა მეოხებითა შენითა შეგვაწყნარე ღმერთსა სახიერსა, რადთა სიყუარული იგი თჳსი ჩუენდამო და სარწმუნოებად ჩუენი მისა მიმართ კუალად განაახლოს და ნათესავი ჩუენი დაამკჳდროს დიდებულსა მონასტერსა შინა ივერთასა, რადთა მარადის თაყუანისცემდენ და მსახურებდენ პორტაიტისად წოდებულსა ხატსა - ივერიის კარის ღმრთისმშობელსა, რამეთუ არცაღა ერთი ქართველი იპოების სავანესა შინა, რომელი დიდითა ღუაწლითა აღაშენეს იოვანე იბერმან და თორნიკყოფილმა-იოვანემ სამკჳდრებელად ქართველთა. ევედრე შენ მიერ შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რადთა წყალობითა მოხედოს დედისა თჳსისა წილხდომილსა ერსა ჩუენსა, მტჳრთველსა საუფლოდსა ჯუარისადსა ქუეყანასა ზედა, და მეფჱ ქრისტჱს-მოყუარჱ ცხებულ-ჰყოს და გჳრგჳნოსან საყდარსა ზედა სრულიად საქართველოდასასა, რადთა კეთილად განაგებდეს და იურვიდეს ერსა ქართველთასა და აღადგენდეს მამულისა ჩუენისა ერთობასა და აღამაღლებდეს ღირსებასა და ძლიერებასა ქუეყანისა და ნათასავისა ჩუენისასა, რადთა არა ჰსთქუან ურიცხუთა მტერთა ჩუენთა, სადა არს ღმერთი მათი, რომლისა მიმართ

აქუთ სასოებაჲ. განაძლიერე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფჱ, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი.

ჱ, წმიდათა შორის დიდებულო და მამათა შორის კეთილმსახურებითა განბრწყინვებულო, ღირსო გიორგი ათონელო, ნუ დასცხრები ვედრებად ღმრთისა მიმართ მოწყალისა, რაჲთა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაჲ, მოძღუართა ამათ ჩუენთა მოშურნეობაჲ და მღჳძარებაჲ სულთათჳს; მთავართა - სიბრძნჱ, ძლიერებაჲ და კეთილად მწყსაჲ ერისაჲ; მსაჯულთა - სამართალი თუალუხუავი; მჴედართა მამაცობაჲ; წინამძღუართა - გონიერებაჲ და სიმდაბლჱ; ერისაგანთა უცოდველობაჲ და დედათა კრძალულებაჲ; მეუღლეთა - სიყუარული და თანხმობაჲ; შჳლთა - მორჩილებაჲ; ჩაგრულთა - თმენაჲ; მჩაგვრელთა შიში ღმრთისაჲ; მწუხარეთა სულგრძელებაჲ; მხიარულთა მოზღუდვილობაჲ და სული გონიერებისაჲ და ღმრთისმოსავობისაჲ, ხოლო

ჩუენ შეგვინდოს ამაოდ და ცუდი მორწმუნეობად, ამპარტავნებად, ზაკუვად, ღალატი, შური, სიძულვილი, ანგარებად, უმადლოებად, დრტვინვად, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწესობანი, და მოგუანიჭოს კეთილ-მოქალაქობით ცხორებად, ქუელის საქმითა განშუენებად, წმიდითა ლოცვითა განათლებად, აღსარებითა განწმედად, ზიარებითა განბრწყინვებად, პატიოსნად მიცუალებად, სასუფეველსა დამკჳდრებად, ანგელოზთა თანა გალობად, წმიდათა თანა სუფევად, და შენ თანა დიდებად და მადლობად, რამეთუ მისა ჰშუენის ყოველი დიდებად, პატივი და თაყუანისცემად, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.